ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7785193

ნომერი: AR11123097

თარიღი : 25.12.2025

გაცემის თარიღი : 27.01.2026

გაცნობის თარიღი : 27.01.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი N 34/ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა სელიმაშვილი პ/ნ 01019058436
- თბილისი მირზაანის ქ. N 32

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1) წარმოდგენილ იქნას არსებული აბრის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი ნებართვა. გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ აბრა უნებართვოდაა მოწყობილი, სამსახური მის რეკონსტრუქციაზე ვერ იმსჯელებს. უნებართვოდ განხორციელებულ სამუშაოებზე წარმოსადგენი გექნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილებამ სამართალდარღვევაზე და შესაბამისი ჯარიმის ქვითარი; ან წარმოდგენილი იქნას უახლესი ფოტომასალა, სადაც უნებართვოდ განთავსებული აბრები არ დაფიქსირდება და განაცხადის ნომენკლატურა შეიცვალოს „ახალი მშენებლობით“.

2)ახლის შეთანხმების შემთხვევაში აბრები მოეწყოს მხოლოდ ღიობების ნაწილში, წყვეტილად, ფასადზე თეთრი ფონის გარეშე.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.